საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №13
2018 წლის 12 ივლისი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა:

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი, 01/06/2017, სარეგისტრაციო კოდი: 300380000.16.009.016209) მე-2 მუხლის პირველ პუნქტს „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) სს „საჩხერეგაზი“:

ა) 2018 წლის 1 აგვისტოდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 2.34%;

ბ) 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 2.00%;

გ) 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 2.00%;

დ) 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 2.00%;

ე) 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 2.00%;".

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან.

კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**ირინა მილორავა**